ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება

(ხელშეკრულების დადების ადგილი) ___/___/_____წ.

ერთის მხრივ, _____ (შემდგომში - ტუროპერატორი), იურიდიული მისამართი: _____, საიდენტიფიკაციო ნომერი: _____, რეგისტრაციის ნომერი: _____, მარეგისტრირებელი ორგანო: _____, რეგისტრაციის თარიღი: ___/___/_____წელი

და

მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში - ხელშეკრულების ტექსტში - ტურისტი), მცხოვრები: _____, პირადი ნომერი: _____, პირადობის მოწმობის ნომერი: _____, გაცემული: _____ მიერ, ___/___/_____ წელს, ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოვხატავთ თავისუფალ ნებას და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგი პირობებით:

მუხილი 1.

ტერმინთა განმარტება

მხარე - ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე

მხარეები - ხელშეკრულების ორივე მხარე ერთდროულად

ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება

ხელშეკრულების ფასი - ტურისტული მოსახურების საზღაური/პაკეტის საზღაური.

შეტყობინება - ინფორმაციის მიწოდება წერილობით, ბეჭდური, ან ელექტრონული(მოკლე ტექსტური შეტობინება, ელ-ფოსტა) ფორმით.

ტურისტული მომსახურება/ტურისტული მომსახურების პაკეტი (შემდგომში – პაკეტი) - ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, წინდამდებარე ხელშეკრულების *დანართ #1*-ში აღწერილი მომსახურება.

მუხლი 2.

ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით ტუროპერატორი მოვალეა გაუწიოს ტურისტს შეთანხმებული ტურისტული მომსახურება, ამ ხელშეკრულების *#1 დანართში* გაწერილი გეგმის შესაბამისად, ხოლო ტურისტი მოვალეა ტუროპერატორს გადაუხადოს ხელშეკრულების მესამე მუხლით განსაზღვრული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის.

მუხლი 3.

ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფასი შეადგენს _____ (სიტყვიერად) ლარს, რომელიც გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით - ტუროპერატორის საბანკო ანგარიშზე: _____ თანხის სრულად ჩარიცხვით.

3.2. ზემოაღნიშნული თანხის გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ____ საათში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტუროპერატორს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და

მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.3. პაკეტის ღირებულება ექვემდებარება გადასინჯვას, მხოლოდ საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 660-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევიბისას, აგრეთვე იმ შემთხვევებში როდესაც, გადასინჯვის საჭიროება განპირობებულია:

1. საწვავის ღირებულების გაზრდით;

2. კონკრეტული სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურების გადასახადების, როგორიცაა პორტებსა და აეროპორტებში ტვირთის გადატანა-გადაზიდვა, ტაქსის დაქირავება გაზრდით;

3. პაკეტში გათვალისწინებული სავალუტო კურსის ცვალებადობით;

4. ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის ცვალებადობით;

3.4. პაკეტის ფასის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კომპონენტის ჯამური ცვლა აღემატება პაკეტის ღირებულების _____%-ს.

3.5. მხარეები თანმხდებიან, რომ გამგზავრების დღემდე, ოცი დღის განმავლობაში, პაკეტის ღირებულება გაზრდას არ ექვემდებარება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ტუროპერატორი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, იძულებულია გამგზავრებამდე მნიშვნელოვნად შეცვალოს ხელშეკრულების არსებითი პირობები, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ტურისტს, რათა მან მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი პირობებით მისი მიღების თაობაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს ტუროპერატორს.

3.6. თუ მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ მისი ღირებულება მცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები. ღირებულების შემცირებისას მხედველობაში მიიღება ხარვეზის ხარისხი, რომლის პროპორციულადაც უნდა მოხდეს ღირებულების კლება.

3.7. პაკეტის ღირებულება არ შემცირდება, თუ მოგზაური თავისი ბრალით არ შეატყობინებს ტუროპერატორს ხარვეზის შესახებ.

მუხლი 4.

მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. ტუროპერატორს უფლება აქვს:

4.1.1. უარი განაცხადოს მესამე პირის მონაწილეობაზე, თუ იგი არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს.

4.1.2. მოსთხოვოს ტურისტს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია.

4.1.3. ტუროპერატორს უფლება აქვს უარი თქვას ხარვეზების გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ასეთად ჩაითველბა ხარჯები, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება პაკეტის ღირებულების _____%-ს.

4.1.4. ტურისტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისას მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

4.2. ტუროპერატორი ვალდებულია:

4.2.1. იმგვარად მოაწყოს მოგზაურობა, რომ მას არ ჰქონდეს ისეთი ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ გააუფასურონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

4.2.2. ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ვალდებულება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ ასწრებს მომსახურეობის გაწევას, _____ სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს ამის შესახებ დამკვეთს.

4.2.3. მოთხონის შემთხვევაში, მიაწოდოს ტურისტს პაკეტთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.

4.3. ტურისტს უფლება აქვს:

4.3.1. მოგზაურობის დაწყებამდე მოითხოვოს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობა.

4.3.2. თუ მოგზაურობას ისეთი ხარვეზები აქვს, ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ გააუფასურონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მაშინ მოგზაურს შეუძლია მოითხოვოს მათი გონივრულ ვადაში აღმოფხვრა.

4.3.3. თუ ტუროპერატორი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ტუროპერატორი უარს იტყვის ხარვეზების აღმოფხვრაზე, ან თუ ტურისტი დაინტერესებულია ხარვეზის დაუყოვნებელი აღმოფხვრით.

4.3.4. ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

4.4.. ტურისტი ვალდებულია:

4.4.1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აანაზღაუროს მოგზაურობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, რომელიც ტუროპერატორმა განახორციელა ხელშეკრულების დადების გონივრულ ვარაუდზე დაყრდნობით.

4.4.2. მესამე პირის მონაწილეობის შემთხვევაში მიაწოდოს ტუროპერატორს მოთხოვნილი ინფორმაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს _____ კალედალურ დღეში. თუ ასეთი მიწოდება საპატიო მიზეით შეუძლებელია, ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს ტუროპერატორს.

4.4.3. სრულად ჩარიცხოს მომსახურების საზღაური, ამ ხელშეკრულებაში მითითებული წესების დაცვით.

4.4.4. წარადგინოს სადაზღვეო პოლისი, რაც აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დადების.

4.4.5. მიაწოდოს ტუროპერატორს ინფორმაცია ჯამრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 5.

მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. თუ მოგზაურობის ხარვეზები წარმოიშვა იმ გარემოებათა შედეგად, რომლებზედაც პასუხს აგებს ტუროპერატორი, ტურისტს შეუძლია ხარვეზების გამო ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეუზღუდავად მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

5.2. თუ მოგზაურობა ჩაიშალა ან იგი არაჯეროვნად იყო ორგანიზებული, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

5.3. თუ ხელშეკრულება, ტურისტის ბრალის გარეშე, მოგზაურობის დაწყებამდე შეწყდება, ტურისტს უფლება აქვს მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია მოგზაურობის მოსაწყობად აუცილებელ პირთა რაოდენობის სიმცირე, რის შესახებაც ტურისტს წერილობითი ფორმით ეცნობა იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია მოგზაურობის (პაკეტის) აღწერილობაში;

2. ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზია დაუძლეველი ძალა.

5.4. ტუროპერატორს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, თუ ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან ტუროპერატორი ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა ტუროპერატორის ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად.

მუხლი 6.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მათ მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმებით. შეწყვეტის შესახებ მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ _____ კალენდარული დღით ადრე.

6.3. ტურისტს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 659-ე მუხლში მითითებული ხარვეზის გამო. ასეთივე წესი გამოიყენება მაშინაც, თუ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოგზაურობაში საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც იცის ტუროპერატორმაც.

6.4. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა ტუროპერატორი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება

შეუძლებელია, ან ტუროპერატორი უარს იტყვის მათ აღმოფხვრაზე, ან ხელშეკრულების შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესებით.

6.5. ხელშეკრულების შეწყვეტისას ტუროპერატორი კარგავს შეთანხმებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის.

6.6. თუ ტურისტი მოგზაურობის დაწყებამდე, ამ საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 657[3] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად წყვეტს ხელშეკრულებას, პაკეტი უქმდება და ასეთ შემთხვევაში ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს:

1. შესთავაზოს თავდაპირველი პაკეტის ეკვივალენტური ან უკეთესი ხარისხის ახალი პაკეტი, როცა ეს შესაძლებელია;

2. ან აუნაზღაუროს ფასში განსხვავება, თუ შეთავაზებული ახალი პაკეტი დაბალი ხარისხისაა;

3. ან დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა.

6.7. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს განუხორციელებელი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუკი ამგვარი ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

6.8. ტურისტული მომსახურების დაწყების თარიღად განისაზღვროს _____.

მუხლი 7.

ფორსმაჟორი

7.1. თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელდება, ან წარმოიშობა სხვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგება ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი

დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე ტუროპერატორს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.3. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 8.

ზოგადი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.2. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. დავის წარმოშობიდან _____ თვის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დავის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება მხარის მიერ, მეორე მხარისათვის დავის შესახებ გაგზავნილი შეტყობინების გაგზავნის თარიღი.

8.4. ხელშეკრულების ერთი რომელიმე მუხლის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

8.5. ყოველ მხარეს აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ტექსტში არსებული ბეჭვდითი, გაანგარიშებითი ან სხვა აშკარა შეცდომის გასწორების მიზნით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლიარი თითოეული მხარისათვის.

8.7. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე.

8.8. ხელშეკრულებას თან ერთვის *დანართი #1*, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

8.9. მხარეები თავის ხელმოწერით ადასტურებენ, რომ მათთვის აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დებულელებს და ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს.

ტუროპერატორი: ტურისტი:

_____ _____

ხელშეკრულება შედგენილია ზურაბ ნატროშვილის მიერ